საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გელოვანი გაბრიელ

გელოვანი გაბრიელ, XVIII ს. I ნახევრის მწერალი, მთარგმნელი. 1724 ვახტანგ VI-ის ამალას გაჰყვა რუსეთში. იქვე დაიწყო სამსახური; 50-იან წლებში მთავარი საპოლიცმაისტრო კანცელარიის კაპიტანი იყო.

გ-ის მიერ 1727 რუსული ენიდან თარგმნილმა გეოგრ. სახელმძღვანელომ („ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგურგვლისათვის აღწერა“) ხელი შეუწყო ქართველთა შორის გეოგრ. ცოდნის გავრცელებას. ისტ.-*ლიტ.* თვალსაზრისით საყურადღებოა ამ სახელმძღვანელოს ბოლოსიტყვაობა – მემუარული ხასიათის *თხზ.* „მცირე ანდერძი“ (ჟურნ. „ივერია“, 1879, № 5–6), რ-შიც გადმოცემულია ავტობიოგრ. ცნობები, აღწერილია ვახტანგ VI-ის ამალის მგზავრობა ასტრახანამდე.

თხზ.: მცირე ანდერძი, წგ.: ყუბანეიშვილი ს., დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 117–120.

ლიტ.: მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლ., ვახუშტის თანამედროვენი წგ.: XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1954; ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი მ., ზოგიერთი გეოგრაფიული ტერმინის გადმოცემისათვის გაბრიელ გელოვანის „გეოგრაფიაში“, ლიტერატურული აჭარა, №11, 1999.

გ. მიქაძე